

ბიზნეს სუბიექტები... 2016 (2)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის თებერვლის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 231 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 95.7% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 4.3% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.967 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. თებერვლის თვეში დაფიქსირდა ზრდა როგორც წინა თვესთან (50.5%-ით), ასევე, წინა წლის იმავე თვესთან (2.4%-ით) შედარებით.

2016 წლის თებერვლის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 48.1%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 134.6%-ით გაიზარდა. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის ზრდა 1.2%-ით და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის ზრდა 37.6%-ით.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.952 და 1.441 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. თებერვლის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 055 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 48.6%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 865 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 44.1%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 92.6% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 181 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 90 კოოპერატივი, 26 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 12 სააქციო საზოგადოება და 2 საჯარო სამართლი იურიდიული პირი.

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... თებერვალი, 2015-2016

(ბ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
თებერვალი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	თებერვალი	
		2015	2016
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3999	4048
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	133	183
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	4132	4231
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.8	95.7
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.2	4.3
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	22.1	48.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	19.8	134.6
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	22.1	50.5
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-0.6	1.2
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-22.2	37.6
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-1.5	2.4
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.941	0.952
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	1.047	1.441
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.944	0.967
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2230	2055
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1	0
კოოპერატივი	ერთეული	102	90
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1654	1865
სააქციო საზოგადოება	ერთეული	5	12
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	7	26
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	131	181
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	2	0
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	2

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016
ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

